როგორ შევამციროთ დანაშაულობის ეკონომიკური შედეგები

„ყოველმან რომელმან ქმნეს ცოდვაჲ, მან უსჯულოებაჲ ცა ქმნეს და ცოდვა იგი არს უსჯულოებაჲ“
(1 ინ. 3, 4)

„ბოროტება ბუნებას თან ახლავს, როგორც ჟანგი სპილენძს და ჭუჭყი სხეულს, მაგრამ არც სპილენძის ოსტატს შეუქმნია ჟანგი, არც მშობლებს - ჭუჭყი. ამგვარადვე, არც ღმერთს შეუქმნია ბოროტება. პირიქით, მისცა მან ადამიანს ცოდნაც და განსჯაც, რომ გაქცეოდა იგი ბოროტებას...“
(წმ. ანტონი დიდი)



აკაკი ბაკურაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

საზოგადოების ისტორიული განვითარების კვალდაკვალ „რელიგია“, როგორც ადამიანთა მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი სფერო, შეიძლება განვიხილოთ, როგორც შინაგანი და საიდუმლო სულიერი კავშირი ხილული და არახილური სამყაროს საწყისთან, შემოქმედთან – უფალთან. სხვაგვარად, იგი ადამიანთა უპირველესი დანიშნულების აღსრულების მოთხოვნის შესრულებაა (თანამყოფადობა ღმერთთან) და როგორც მსოფლმხედველობა - თავის თავში ჩაირთავს ადამიანის ცხოვრების წესისა და ღვთის მცნებების შესწავლებას (მათ შორის: ჭეშმარიტების, დოგმატების და ა.შ.), რომელიც დაეხმარება თითოეულ ადამიანს დაიმკვიდროს ღირსეული ადგილი იმავე საზოგადოებაში, პარალელურად ამზადებს საკუთარ თავს მომავალი, ზეციური ნეტარებისათვის.

აღარ დაობენ იმ ფაქტზე, რომ ქრისტიანული (მართლმადიდებლური) ეკლესია ადამიანური ბუნებით ღმერთკაცური „ორგანიზმია“ და თავისი არსებობით დაკავშირებულია მსოფლიოსთან (სამყარო, ბიბლ. - „სოფელი“) და როგორც „მიწიერი ორგანიზაცია“, მას შესწევს უნარი სულიერად გარდაქმნას, „ფერი უცვალოს“ და გაწმინდოს კიდეც იგი („სოფელი“).[1]

შესაბამისად, რამდენადაც ჭეშმარიტად მოვიდა ღმერთკაცი იესო ქრისტე მსოფლიოს („სოფლის“) ცოდვის ტყვეობიდან გამოსახსნელად, იმდენადაა მისი ეკლესია მოწოდებული ემსახუროს მსოფლიოს მისივე გადასარჩენად, რამეთუ ესაა - შემომქმედი ღმრთისადმი (ინ. 1, 1-4) და ადამიანებისთვის მსახურების უწყვეტი სწავლება.

ამიტომ, ეკლესია მოუწოდებს მის წევრებს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების შენებაში მიიღონ მონაწილეობა იმ მომქმედი „წესების“ დაცვით, რომლებიც იქნება დაფუძნებული ქრისტიანული ეთიკის, ზნეობის და ა.შ. ნორმებზე.

ამდენად, ეკლესიის მთავარი ფუნქცია, ორიათასი წელია, ღვთისადმი მსახურებასთან ერთად, ადამიანთა სულების ხსნაა. ყოველივე ამას იგი აღწევს არა მხოლოდ ე.წ. ქადაგებებით, არამედ საზოგადოების სულიერი, მორალური და მატერიალური მდგომარეობის ამაღლებისკენ მიმართული საქმეებით, რომელიც მთლიანად დაფუძნებულია საყოველთაო სიყვარულის გავრცობაზე.

დღეს კიდევ უფრო აშკარაა და აუცილებელია გამოიკვეთოს იმ „წესების“ ერთობლიობა, რომელთა დაცვითაც შესაძლებელია საკუთარი კეთილდღეობის და ბედნიერების მიღწევა, „გახარება ორივე სოფელში“. რაც მთავარია, ეს „წესები“ არ უნდა გავიგოთ მხოლოდ, როგორც სახელმწიფოს მიერ მიღებული და აღიარებული სამართლებრივი ნორმებისა და კანონების ერთობლიობა (მათ შორის, საერთაშორისო), არამედ უნდა ეთანხმებოდეს ეკლესიის მიერ აღიარებულ „სჯულის კანონს“!

დღეს მთავარ პრობლემათა შორის გამორჩეულია **დანაშაულობა**. საზოგადოების მორწმუნე ნაწილი თვლის, რომ მისი შემცირებისთვის არსებობს რეალური გამოსავალი, რომლის მიხედვით, **დანაშაული არ უნდა იქნას გაგებული მხოლოდ როგორც პიროვნების, საზოგადოების, სახელმწიფოს და ა.შ. წინააღმდეგ „სისხლის სამართლის კოდექსით“ გათვალისწინებული მარლთსა-**

1 www.vitebsk.orthodoxy.ru /Официальная страница Витебской епархии Белорусского экзархата РПЦ

წინააღმდეგო და ბრალეული ქმედება, ან უმოქმედობა, არამედ როგორც საკუთარი თავის წინააღმდეგაც მიმართული ქმედება (უმოქმედობა), რომლის ჩადენით ზიანს აყენებს საკუთარ თავსაც „ცოდვით დაცემის, ან ჩადენის“ გამო (იშვიათი და განსაკუთრებული შემთხვევების გარდა). ამდენად, კონკრეტული სამართალდარღვევა არა მარტო დანაშაულია, არამედ ცოდვაცაა! ე.ი. ყოველი ასეთი ქმედება (უმოქმედება) ამასთან ღვთის მცნებების დარღვევაცაა!

დანაშაულის[1] თვისებრიობაში თუ ჩავრღმავდებით, დავინახავთ სხვა მხარესაც. კერძოდ, არის შემთხვევები, როცა ჩაფიქრებულია დანაშაული (არა „დანაშაულის მცდელობა“), მაგრამ არ იქნა მოყვანილი მოქმედებაში, რისთვისაც მომქმედი კანონმდებლობა დასჯას არ ითვალისწინებს, რამეთუ ის მხოლოდ გონებაშია. სამაგიეროდ, მან „სცოდა გულით“ და თუ არ მოინანია სინანულით „იდეაშივე ჩასახული“, მაშინ იგი რჩება მასში ცოდვის სახით და განიკითხება (დაისჯება) კიდეც მის გამო. მაშასადამე, ვინაიდან დანაშაული, ძირითადში, გონებაში იბადება, ამიტომ მისი „პრევენცია“ შესაძლებელია იდეაში ჩასახვისთანავე, თუ იქნება ინდივიდის (ჯგუფის) კეთილი ნება: სძლიო(ნ)ს გულისთქმას და არ განახორციელო(ნ)ს ის ქმედებით (უმოქმედობით) და სწორედ ასეთი ქცევისკენ მოუწოდებს ყველა ქრისტიანს ეკლესიის სწავლება!

გამოდის, რომ ქრისტიანული ცხოვრების წესების დაცვით ცხოვრება საზოგადოებაში დანაშაულობის[2] (დანაშაულის გავრცელების ხარისხი იზომება %$_0$-ში, რაც ნიშნავს თუ რამდენი ერთეული დანაშაული მოდის 1000 მოსახლეზე, ერთეული/1000კაცი) შემცირების გარანტიაა, ანუ ადამიანთა ეკლესიური თანაცხოვრება დაგვაცილებს ბოროტებას და, შესაბამისად, ვიხსნით საკუთარ სულებს ეკლესიის მიერ დადგენილი სამართლიანი სასჯელისგან (ჯოჯოხეთისგან).

ჩვენს ცხოვრებაში, ცოდვის დაცემით შემოსულმა ბოროტებამ თვისებრივად შეცვალა ადამიანი. მან დაკარგა მთავარი - **უკვდავება და სრულყოფილება...** და ცოდვის მუდმივ ტყვეობაში აღმოჩნდა. **შესაბამისად, თითოეული ჩვენგანი ცოდვილი და, შესაძლებელია, პოტენციური დამნაშავეც შეიძლება აღმოჩნდეს. რაც შეეხება ცოდვასა და ბოროტებას, ჩვენ ამ შემთხვევაში განვიხილავთ მათ როგორც თვისობრივად მსგავსს და „სინონიმურს“ დანაშაულთან, როგორც ღვთის ისე საზოგადოების წინაშე. პრობლემის ასეთი წარმოდგენა უფრო მოფენს ნათელს მის წინააღმდეგ ბრძოლის გზას, რომელიც ყველა სხვა შემთხვევაში ბუნდოვანია. რა გვაძლევს ასეთი დარწმუნების საფუძველს? იგი ქრისტეს ეკლესიის სწავლებაშია!**

თუ მივყვებით ეკლესიის სწავლებას, **ცოდვა** ესაა ადამიანის მიერ „ღვთის ნების“ დარღვევა, ანუ ადამიანის ბოროტი ნების გამოხატულება, ბოროტება კი - ადამიანის „ცოდვილი ნების“ გამოხატულების შედეგი. ბოროტება (ცოდვა, უსჯულოება, დანაშაული) იმდენად რთული ფენომენია, რომ არცერთი მოციქული მის თვისობრივ ახსნაზე არ ჩერდება წმ. წერილში. პირიქით, ისინი გადმოგვცემენ ქრისტე ღმერთის სწავლებას ბოროტებისგან (ცოდვისგან) სრული განთავისუფლების შესახებ. ამრიგად, ბოროტების (დანაშაულის) დამარცხება შესაძლებელია უპირველესად სჯულის კანონის დაცვით.

ისტორიულად, ადამიანთა თანაცხოვრება საზოგადოებაში, იმართება (ან წესრიგდება) იმ სამართლებრივი ნორმებით, რომელთა კლასიფიკაცია შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სახით:

ა) **დაწერილი სამართალი**. იგი განკუთვნილია ორგანიზებული საზოგადოებისათვის („ადამიანური სამართალი“). მასთან გაიგება, ასევე, „დადგენითი“ სამართალი, რომელიც იმ კანონთა ერთიანობაა, რომლიც დადგენილია, ძირათადში, სახელმწიფოს მიერ და ფორმულირებულია კონკრეტულად;[3]

ბ) **დაუწერელი სამართალი**. იგი ასევე ორგანიზებული საზოგადოების დადგენილი მემკვიდრეობითი წესების (ადათი) ერთობლიობაა; ე.წ. ბუნებითი სჯული, რომელიც გენეტიკურია და მოიცავს ზნეობრივ დადგენილობებს და ლოგიკურად გამომდინარეობენ სინდისისაგან, შეგნებისაგან და ა.შ.;

გ) **კანონიკური სამართალი** (**სჯულის კანონი**). ამ სამართალის „წყარო“ არაა „დაცემული კაცის“ ბუნება თუ ნება (ადამიანური შემეცნების „შეზღუდულობიდან“ გამომდინარე), არამედ იგი მოიცავს ქრისტე ღმერთის მიერ განცხადებულ საღმრთო ჭეშმარიტებებს, რაც „ავთენტურად“ (ავტორიტეტულად) დასტურდება სულიწმიდით, ეკლესიის მიერ![4]

ბევრს გაუკვირდება, მაგრამ ღმრთის მცნებების დაცვაში არ არის ისეთი უმნიშვნელო რამეც კი, რომელსაც შეუძლია ადამიანი მიიყვანოს ცოდვით დაცემამდე, მით უმეტეს, წარწყმეტამდე. ამისათვის კი აუცილებელი და საკმარისია მხოლოდ ერთი რამ: **გავიგონოთ, მივიღოთ** (დავიმარხოთ) და **აღვასრულოთ ღვთის სიტყვა.**

---

1 ლათ. crimen.

2 ლათ. criminalitas. ნაშრომში ამ ცნების ქვეშ იგულისხმება ის ცალკეული რეგისტრირებული დანაშაული, ანუ საზოგადოებისთვის საშიში ქმედება, რომელიც გამოვლენილია და აღრიცხვაზეა აყვანილი და გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით. ბუნებრივია, მხოლოდ გამოვლენილ დანაშაულთა გავრცელების ხარისხი არ არის სრულად იმ რისკის მატარებელი, რომელიც საზოგადოებისთვის საშიშია. კიდევ უფრო დიდი რისკის მატარებელია ლატენტური (ლათ. latens) ანუ დაფარული დანაშაულები, რადგან რიგ გარემოებათა გამო, ვერ ხერხდება ამ დანაშაულთა ჩამდენი პირების გამოვლენა და დასჯა, რაც განაპირობებს მათ გაძლიერებას და გავლენის საზღვრების გაფართოებას ამა თუ იმ სფეროებზე. გამოვლენილი დანაშაული არის სამართალდარღვევის ერთი სახე, რომლის მიხედვით იქნება ესა თუ ის მსჯელობა წარმოდგენილ ნაშრომში, რადგან მას არ აქვს პრეტენზია განიხილოს სამართლებრივი რისკის შემცვლელი ყველა ქმედების ეკონომიკური შედეგები.

3 ბემისი პ., კანონიკური სამართალი, თბ., 2007 წ., გვ. 10

4 www.orthodoxy.ru /Безплатний хостинг праовславних сайтов/

ძველი რომის, საბერძნეთის, ჩინეთის და ა.შ. ქვეყნების სამართლებრივი ძეგლების შესწავლამ და, საერთოდ, საზოგადოებათა ისტორიული განვითარების გამოცდილებით სარწმუნო ხდება მტკიცება, რომ ადამიანთა მიერ მიღებული კანონები არასოდეს არ იყო მოწოდებული სრულყოფისკენ და აუცილებელი იყო მუდმივად დახვეწილიყო საზოგადოების განვითარების კვალდაკვალ და განეცადა „სრულყოფა“, თუმცა უშედეგოდ, ის მაინც შესაცვლელი ხდებოდა და ხდება, რადგან კანონმდებლობას სრულყოფილებისთვის ჯერ კიდევ არ მიუღწევია, საკანონმდებლო ნორმების სრულყოფის მცდელობა დღესაც გრძელდება, თუმცა უშედეგოდ, მიუხედავად თითქმის ყოველდღიური საკანონმდებლო ცვლილებებისა.

ეკლესიის ავტორიტეტი მამები (სულმნათი წმიდანები) გვმოძღრავენ, რომ ადამიანებმა უნდა გულისხმაჰყონ: როცა „კანონმდებლობს მამა-ღმერთი, ქვეყნად მოდის და გვესაუბრება ძე-ღმერთი, და როცა სულიწმიდა-ღმერთი დამკვიდრებულია ეკლესიაში და წინამძღოლობს (ზედამხედველობს), მაშინ დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სრულიად სწორი და მართებულია უცდომელობა ეკლესიისა“[1] და, გამომდინარე აქედან, სჯულის კანონისა, რამეთუ ადამიანის არსებობის ისტორიამ აჩვენა მისი უცდომელობა დღემდე და ასე იქნება უკუნისამდე!

„ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა უღმრთოთასა და გზასა ცოდვილთასა არა დადგა, და საჯდომელსა უშჯულოთასა არა დაჯდა. არამედ, შჯულსა უფლისასა არს ნებაი მისი შჯულსა მისსა ზრახავნ იგი დღე და ღამე“ (ფს. 1, 1-2).

ეკლესიის სწავლებით: აქ პირველ რიგში უნდა ვიგულისხმოთ ის ფაქტი, რომ უღმრთოთაგან და ცოდვილთა გზიდან გამდგარი ადამიანი ჯილდოდ მიიღებს ბედნიერებას და კეთილდღეობას, ხოლო უშჯულოებს („ცოდვებში ჩაძირულთ“, რომლებსაც სურვილიც არა აქვთ იქედან ამოსვლის) - სატანჯველი, ბოროტებისკენ მათი მუდმივი გადახრის გამო[2].

რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, მხოლოდ ადამიანში ვნახულობთ მისწრაფებას ბოროტისკენ... იგი თანდათან მიდის ბოროტების იდეის განხორციელებამდე, რაც გამოიხატება მისი ჩადენის მოთხოვნილობიდან. ბოროტება (ე.ი. ცოდვა და, შესაბამისად, დანაშაული) „იმდენადაა დაკავშირებული თავად ადამიანის ბუნებასთან, იმდენად თან ახლავს და მოიცავს ისტორიის ყველა ეპოქას, ადამიანთა ყველა თაობას, რომ ჩნდება კითხვა: რატომ სწყურია ადამიანს ბოროტების ჩადენა? რატომ ეძებს მას? მიმართავს ძალადობას, სხვა ადამიანის განადგურებას“[3] და ა.შ.

ვინც ღმერთში ხედავს არა მხოლოდ შემოქმედს და გამგებელს, არამედ მხსნელსაც, განსაკუთრებულად გრძნობს და განიცდის ბოროტების გაძლიერებას, რადგან ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად **მისი** საზღვრები არათუ შეიზღუდა ან შემცირდა, არამედ პირიქით - უფრო გაიზარდა და გამრავლდა, შინაარსობრივად გართულდა, სულ უფრო დახვეწილი და შენიღბული გახდა, შესაბამისად, - **ძლიერ საშიში**! ცოდვით დაცემის, ბოროტების ჩადენის შემდეგ აუცილებლად ჩნდება წინააღმდეგობები, რომლებიც ადამიანურ ბუნებას ართმევს ღვთიური მადლის სრულად მიღების უნარს[4].

ადამიანის ცოდვის ტყვეობიდან თავდახსნის სისუსტის ახსნას ეძებენ მძიმე სოციალურ პირობებში, როგორიცაა სიღატაკე და მუდმივი გაჭირვება... ხშირი შიმშილობა და დაავადებები, სოციალურ ფენებს შორის შემოსავლების მკვეთრი დიფერენციაცია და სხვა ცნობილი პირობები, რომლებიც ცალკეულ ინდივიდებს თუ მოსახლეობის ნაწილებს შორის მუდმივად ქმნიან შინაგან გაღიზიანებას, ე.წ. „გაბოროტებას“. ამასთან, ჯოჯოხეთის წყვდიადში მოფიქრებული და ადამიანთა გულებში დაბუდებული შური ცდილობს განახორციელოს სურვილი - რაიმეთი „ავნოს“ მათ, ვისაც თითქოს უფრო უზრუნველი ცხოვრება აქვს და ყოველივე ეს აჩენს „ბოროტების ჩადენის“ იდეას ადამიანში. შესაბამისად, ცოდვებით დამძიმებული გული და გონება არ ფიქრობს იმაზე, რომ თითოეულს შეუძლია თვისი სული იხსნას როგორც სიღარიბეში ისე სიმდიდრეში, რამეთუ სიღარიბე არაა კონკრეტული ცოდვის შედეგი (განსაკუთრებული შემთხვევების გარდა), ან კიდევ წყევლა და არც სიმდიდრეა, როგორც განსაკუთრებული წყალობა.... მთავარია ვეძებოთ სულიერი სიმშვიდე და შევძლოთ ეკლესიური „ცხოვრების წესით“ არსებობა, „რამეთუ უკეთურნი ადრე მოისრნენ..., ხოლო მშვიდრთა დაიმკვიდრონ ქუეყანა“ (36, 9-11).

„... უფალსა უყუარან მართალნი“ (ფს. 145, 8). მოსე წინასწარმეტყველის ბაგეებით ეუწყა გაფრთხილება სამყაროს, რომ ადამიანო **„გეშინოდის შენ უფლისა ღმრთისა შენისა და დაიცვნე შენ მცნებანი და სამართალნი მისნი... და იყვნენ სიტყუანი ესე, რომელთა მე გამცნებ შენ დღესდღე გულსა შენსა და გონებასა შენსა. და ასწავლნე ეგენი შვილთა მათ შენთა და იტყოდი მაგათ ჯდომასა სახლსა შინა შენსა და სლვასა გზასა შენსა და სასუენებელსა ზედა შენსა და აღდგომასა შენსა“ (2 რჯ. 6, 2-7) „და წარვიდენ ესენი სატანჯველსა საუკუნესა, ხოლო მართალნი – ცხორებასა საუკუნესა“** (მთ. 24, 46; შედარ.: ინ. 5, 29), რამეთუ „ღმერთი რამდენადაც მოწყალეა, იმდენად სამართლიანიცაა. უსაზღვროა მისი მოწყალება და უსაზღვროა მისი მართმსაჯულებაც“.[5]

„ცოდვა მოვიძულე და მოვიძაგე, ხოლო შჯული შენი შევიყუარე“ (ფს.118, 163; შედარ.; ეს. 32, 17 და რომ. 5, 1).

1 ბუმისი პ., კანონიკური სამართალი, თბ., 2006 წ., გვ., 11; წყაროდ გამოდგება, ასევე: `didi sjulis kanoni~, Tb., 2007 w.

2 www.lopbible.narod.ru /Лопухин А., Толковая Библия или комментарий на все книги Св.Писания Ветхого и Нового Заветов, электронная версия/

3 ლოსკი ვ., დოგმატური ღვთისმეტყველება, თბ., 2007 წ., გვ., 82

4 მათეს სახარების განმარტება წმ. მამათა სწავლების მიხედვით, თბ., 2006 წ., გვ. 284

5 წმ. ი. კრონშტანდელი, ქრისტიანული ფილოსოფია, თბ., 2003 წ., გვ. 39

სამყაროს შემომქმედმა ღმერთმა არაფრისგან გაგვაჩინა, მისგან მოგვცეა სჯული, მაცხოვნებელ კანონთა კრებული, შესაბამისად, ჩვენი ცხოვრების წესებიც უნდა იყოს დამოკიდებული მასზე.

პავლე მოციქულის სიტყვებით, რომ ვთქვათ: „.... ვითარმედ შჯული უფლებს კაცსა ზედა, რაოდენ ჟამ ცოცხალ არს იგი“ (რომ. 7, 1). ცოდვით დაცემის გამო ადამიანთა შინაგანი მდგომარეობა არამდგრადი და მერყევი გახდა. როგორც ქარი წაიღებს თავისუფლად მტვერს, ან ბუმბულს, ისე ატარებს ბოროტება დამონებულ ადამიანს... მათ არ ესმით, რომ ისინი მაინც განისჯებიან, იცოდნენ თუ არა მათ სჯულის კანონი, „რამეთუ უწყის უფალმან გზაჲ მართალთა და გზაჲ უღმრთოთა წარწყმდეს“ (ფს. 1,6).

ყველა მორწმუნე, ვინც შინაგანად განიცდის ცოდვით დაცემას, განსაკუთრებით ბედნიერი ხდება მაშინ, როცა მას (ცოდვას) იგი ამარცხებს სინანულითა და წმიდა ზიარებით. შესაბამისად, როგორი ამაზრზენი ხდება დამოკიდებულება ამ ქმედებების (უმოქმედების) მიმართ, რასაც ჩავდივართ მუდმივად, თუმცა ასევე ნაცნობია „საკუთარი თავის სიძულვილი“, სირცხვილის გრძნობა უფლის წინაშე, როცა განვიცდით სინდისის ქენჯნას და ვარდებით უსასოობაშიც, რამეთუ მეყსეულად გვებადება კითხვა: ავღდგები კი ცოდვისგან? მომიტევებს უფალი? რათქმა უნდა! რადგან ცოდვის ტყვეობიდან დახსნისთვის მიიღო ღმერთმა კაცობრივი ბუნება, საკუთარი თავი დასდო სამსხვერპლოზე და თივისი წმინდა სისხლით გამოისყიდა ცოდვის მონობისგან კაცობრიობა!

მაცხოვარი მოგვიწოდებს, რომ: **„უკუეთუ ვსჯიდე მე, სასჯელი ჩემი ჭეშმარიტ არს“ (ინ. 8, 16) და „უკუეთუ გიყუარ მე, მცნებანი ჩემნი დაიმარხენით“** (ინ. 14, 15). ბიბლიის ცნობილ განმარტებელთა აზრით, აქ მაცხოვარი მოგვმართავს, როგორც ქვეყნიერების შემომქმედი, რომელიც მართავს და განიკითხავს მას მისივე კანონებით...[1] წმ. მაქსიმე აღმსარებლის სიტყვებით, რომ ვთქვათ: **„... ვინც მცნებებს არ აღასრულებს, მას არ ძალუძს უფლის სიყვარული“**[2] და ვინც უფლის სიყვარულისგან დაცლილია, იგი ადგება დაღუპვის გზას და შეიძლება მრავალიც გაიყოლოს.

„სიმართლე შენი სიმართლე არს უკუნისამდე და შჯული შენი - ჭეშმარიტ“ (ფს. 118, 142; შედარ.; ფს. 18, 10 და ინ. 17, 17). ვინც სიმართლით არ დადის ან „წაიქცა“ ამ გზაზე, მათ მიმართ გვაქვს ერთი ვალდებულებაც. მიეხუდავად, ჩადენილ დანაშაულში მხილებისა და ცნობისა, ჩვენ როგორც ქრისტიანები, ვალდებული ვართ მათზე ვილოცოთ, ვიზრუნოთ და შევძლოთ, რომ საზოგადოებისთვის ისინიც სრულფასოვანი წევრები გახდნენ მომავალში, რაშიც ეკლესია აშკარად უწევს დახმარებას და თანადგომას მათ, რადგან „... თუკი თქვენ ხედავთ, რომ რომელიმე თქვენი ძმობიდან ჩავარდნილია რაიმე მსგავს უსჯულოებაში და ეს თქვენ მიგაჩნიათ სხვის და არა საკუთარ განსაცდელად და ცდილობთ თავი გაიმართლოთ თქვენ მამხილებელთა წინაშე ასეთი სიტყვებით: რა ჩემი საქმეა ეს? რა მაქვს საერთო მასთან? - ეს სიტყვები სხვა არაფერია თუ არა გამოხატულება უკიდურესი საეშმაკო ულმობელობისა და არაადამიანობისა!“[3]

„ნეტარ არიან, რომელთა დაიცვან სამართალი და ყონ სიმართლე ყოველსა ჟამსა“ (ფს. 105, 3), **„... რამეთუ ღმერთი მსაჯულ არს“** (ფს. 49,7). ქრისტეს ეკლესიის ერთ-ერთი დიდი მნათობი და ჩვენი თანამედროვე წმ. **იოანე კრონშტანდელი** თითოეულს გვმოძღვრავს, რომ უპირატესი სჯულისმდებელი არის ღმერთი და რომ **„შენ ქმნილება ხარ, ღმერთი შენი შემქმნელი, მოქანდაკე, მხატვარია, რომელმაც შენი სული და სხეული წარმოქმნა; შენ მთლიანად მისი კეთილი, სამართლიანი, ყოვლადძლიერი, სრულყოფილი ძალაუფლების ქვეშ იმყოფები“**[4]. ამ სიყვარულის გამო, როგორც მართალმა და მოწყალე მსაჯულმა, ქრისტე ღმერთმა დაიმდაბლა თავი და ადამიანად მოგვევლინა, რათა უშუალოდ, პირდაპირ ესწავლებინა გადარჩენის გზა, რომელსაც რწმენა და სჯულის აღსრულება დაუდო სათავედ. **„... ყოველი, რომელი არა სარწმუნოებით არს, იგი ცოდვა არს“** (რომ. 14, 23; შედარ.: ტიტ. 1, 14; 1ტიმ. 1, 4 და სხვ.). ჩვენც მუდმივად არჩევანის წინაშე ვდგავართ: თავისუფლება, თუ ცოდვის საბოლოო ტყვეობა.

„ცოდვა მოვიძულე და მოვიძაგე, ხოლო შჯული შენი შევიყუარე“ (ფს. 118, 163). ურთიერთობებში ხშირად გვსმენია ბევრნაირი გამოთქმები ამ ცხოვრებაში პატიოსანი კაცის გაჭირვების და ცოდვილთა ბედნიერების შესახებ, რაც საბოლოოდ მიდის ერთ აზრამდე **-„ღმერთს რომ არ დაეშვა ცოდვა, მე მას არ ჩავიდენდი“.**

რა მკრეხელობაა! ნუთუ ვერ გულისხმასჰყოფენ, რომ **„არა თუმცა უფალმან აღაშენა სახლი, ცუდად შურებიან მაშენებელნი მისნი; არა თუმცა უფალმან დაიცვა ქალაქი, ცუდად იღვძებენ მჯუმილნი მისნი“** (ფს. 126, 1), რამეთუ ღმერთს არ შეუძლია იყოს „ცოდვის წყარო“, მაშინაც კი როცა მან თავი დაიმდაბლა და ჩვენნაირი გახდა, ჩვენდა მსგავსი - გამოსცადა რა თავის თავზე ყოველივე ადამიანური მწუხარება, ტკივილი და ტანჯვა, „... გამოცდილი ყოვლითავე მსგავსებითა, თჳნიერ ცოდვისა“ (ებრ. 4, 15), რადგან „მართალ არს უფალი ყოველთა შინა გზათა მისთა და წმიდა არს იგი ყოველთა შინა საქმეთა მისთა“ (ფს. 144, 17).

ცოდვის წარმოშობის ისტორიის საეკლესიო სწავლება დამოკიდებულია რიგ პირობებზე:

ღმერთს ცოდვა არ შეუქმნია, რამეთუ წერია, რომ **„იხილა ღმერთმა ყოველივე რაც შექმნა, და ძალზე კარგი იყო...“** (დაბ. 1. 31) და **„წუვინ განცდილთაგანი იტყჳნ, ვითარმედ ღმრთისა მიერ განვიცადები, რამეთუ**

1 www.lopbible.narod.ru /Лопухин А., Толковая Библия или комментарий на все книги Св.Писания Ветхого и Нового Заветов, электронная версия/

2 სწავლა-მოძღვრებანი ჭეშმარიტ სიყვარულზე, ქ., 2000 წ., გვ. 47

3 წმ. ი. ოქროპირი. პირველი სიტყვა იუდეველთა წინააღმდეგ /www.kvirike.ge/

4 წმ. ი. კრონშტანდელი, ქრისტიანული ფილოსოფია, თბ., 2003 წ., გვ. 60

ღმერთი გამოუცდელ არს ბოროტისა და არავის განსცდის იგი (იაკ. 1, 13; შედარ.: ფს. 110, 3 და 5, 4; ზირ. 39, 21; დაბ. 6, 6; ფს. 77, 56 და ა.შ.), პირიქით - უფალი ხდება მრისხანე და, შესაბამისად, ცოდვილთა სამართლიანად დამსჯელი (შედარ.: ინ. 3, 36; რომ. 1, 18; იგავ. 6, 16-19; დაბ. 3, 15-19; 2 პეტრ. 2, 1-3; ფს. 88, 33 და ა.შ.).

2. **პირველად სცოდა ეშმაკმა,** რამეთუ მოციქულის სიტყვებით: **„რომელმან ქმნეს ცოდვა, იგი ეშმაკისაგან არს, რამეთუ დასაბამითგან ეშმაკი ცოდავს. ამისთვის გამოცხადნა ძე ღმრთისა, რათა დაარღვინეს საქმენი ეშმაკისანი“** (1 ინ. 3, 8; შედარ.: ინ. 8, 44; 2 პეტრ. 2, 4; იუდ. 1, 6 და სხვ.)

3. **პირველქმნილი ცოდვა**, ანუ ადამისა და ევას მიერ პირველი შეცოდება (დაბ. 3, 1-7), რამეთუ დაირღვა მათ მიერ ღმრთისგან მიცემული ერთად-ერთი მცნება (დაბ. 2, 16-17)

4. **პირველქმნილი ცოდვა მემკვიდრეობით** გადმოვიდა ყველა ადამიანზე (peccatum originale), **„ამისთჳს, ვითარცა-იგი ერთისა მის კაცისათჳს ცოდვაჲ სოფლად შემოჴდა და ცოდვისა ძლით - სიკუდილი“** (რომ. 5, 12-19; შედარ.: დაბ. 3, 15; შედარ.: დაბ. 14, 18 და 22, 9; ზაქ. 6, 13 და 12, 10; ფს. 111, 1-4, 22. 4; 70, 4 და სხვ.)

ეკლესიის სწავლებიდან გამომდინარე:

- **ბოროტება** არ არსებობს, როგორც განსაკუთრებული „არსება“, მისი არსი მხოლოდ ღვთისგან მოწყვეტაშია, ხოლო ჩადენა „თავისუფალი ნების“ აქტის შედეგია; იგი პირველად ზეცაში, ანგელოზთა სამყაროში „გაჩნდა“ და შემდეგ მიწაზე გადმოვიდა და ადამიანებში ბოროტი სულების ცდუნების შედეგი გახდა; მისი შემეცნების გზები კი არ დახშო ადამიანებისთვის უფალმა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ დაფარა ისინი; მის გამო შეიცვალა ადამიანის ბუნება, იგი დასუსტდა, შეუმცირდა წინააღმდეგობის გაწევის უნარი და იქცა საცდურისადმი მიდრეკილად.[1]
- **ცოდვა** ანადგურებს ადამიანის სულს და მისი თანამგზავრი გახდა (შედარ.: დაბ. 6, 5 და 8, 21; იერ. 17, 9; მთ. 16, 18-20 და ა.შ.). შესაბამისად, ადამიანს არ შეუძლია გამოისყიდოს მისი ცოდვა, ან დანაშაული (ბოროტება), გარდა ღვთის მცნებების, სჯულის კანონის დაცვისა და სრული სინანულის გარეშე (შედარ.: ფს. 48, 8 და 50, 19; მთ. 16, 27; მრკ. 8, 37).

ბოროტებისაკენ ლტოლვას იწვევს შემდეგი პირობები:

- **ბოროტებისკენ შინაგანი ლტოლვა** (მაგრამ არა მუდმივი!), რომელიც გამომდინარეობს ადამიანის ცოდვილი ბუნებიდან და შესაძლებელია მისი დამარცხება (უკიდურეს შემთხვევაში ამ ქმედების, ან უმოქმედობის გადაწევა დროში, რაც შეიძლება ხანგრძლივად); შესანიშნავი მაგალითია თავდამბლობით ნათქვამი პავლე მოციქულის აღსარება: **„რომელი-იგი მე არა მნებავს და მას ვჰყოფ, არღარა მე ვიქმ მას, არამედ რომელი-იგი დამკჳდრებულ არს ჩემ თანა ცოდვაჲ“** (რომ. 7, 20);

- **ბოროტებისკენ მთლიანი გადახრა** და **მუდმივი ლტოლვა**, ანუ ბოროტების „შინაგანი განსხმობა“ (ცნობილი ფრაზა: „ბოროტება აქვს გამჯდარი“, ანუ ის ნებისმიერ შემთხვევაში შეიძლება აღმოჩნდეს ბოროტების ჩამდენი). ე.ი. მისკენ სრული მიდრეკილება, იქნება ეს ენდოგენური თუ ეგზოგენური ფაქტორების ზეგავლენით (ეს ის შემთხვევაა, როცა ადამიანი საკუთარი ნებით მიდის საღმრთო სწავლების წინააღმდეგ, ამხედრებს თავის თავსაც და სხვასაც სჯულის აღსრულების წინააღმდეგ და შეიძლება აღფრთოვანდეს კიდეც ბოროტების პროპაგანდით).

ამდენად, **ცოდვა**[2] სიკეთისგან დაცილებაა, ხოლო **უსჯულოება** - სჯულის კანონის დარღვევა. წმიდა წერილში სიტყვა **„ცოდვის“** არსებობს რამდენიმე სინონიმი:

- „უსჯულოება“ - „ნეტარ არიან, რომელთა მიეტევნეს უსჯულოებანი და რომელთა დაეფარნეს ცოდვანი. ნეტარ არს კაცი, რომელსა არა შეურაცხოს უფალმან ცოდვა, არცა არს პირსა მისსა ზაკუა...“ (ფს. 35, 1-2; შედარ.: 1 ინ. 3, 4; დაბ. 6, 5 და სხვ.)

- „განდგომა“ - ესაა ღმრთის მიმართ წინააღმდეგობაში ყოფნა: „... უკუეთუ განდგომით ვცოდეთ წინაშე უფლისა, ნუ გვიხსნინ ჩუენ დღესა ამას შინა“ (ისო. 22, 22; შედარ.: დაბ. 8, 21)

- გახრწნილობა - ამ შემთხვევაში იგი უნდა გავიგოთ, როგორც, ამორალური ცხოვრების წესი. იგი გვხდება როგორც: „... თქუა უფალმან ღმერთმან: ღაღადება სოდომთა და გომორთა განმრავლდა ჩემდა მომართ, ცოდვანი მათნი დიდ არიან ფრიად. გარდავიდე უკუე, ვიხილო, უკუეთუ ღაღადებისაებრ მათისა მომავლისა იქცევიან, და, უკუეთუ არა, რათა ვცნა“ (დაბ. 18, 20-21)

- უსამართლობა - იგი მრავალ ადგილას გვხდება ბიბლიაში, როგორიცაა: „განვიხილნე კუერთხითა უსჯულოებანი მათნი და გუემითა უსამართლობანი მათნი“ (ფს. 88, 33), ან „უკუეთუ აღვიარნეთ ცოდვანი ჩუენნი, სარწმუნო არს და მართალ, რაჲთა მოგჳტევნეს ჩუენ ცოდვანი ჩუენნი და განგუწმიდნეს ყოვლისაგან სიცრუისა (1 ინ. 1, 9; შედარ.: დაბ. 19, 8 და 28, 13; 2 მეფ. 12, 13; ფს. 31, 5 და სხვ.)

- უსჯულოება და **ბოროტება** - მაგალითად, „... იხილა რაჲ უფალმან ღმერთმან, ვითარმედ განმრავლდეს უსჯულოებანი კაცთანი ქუეყანასა ზედა. და ყოველი ვინ გონებს გულსა შინა თჳსსა მოსწრაფებით ბოროტთა ყოველთა დღეთა“ (დაბ. 6, 5. შედარ.: მთ. 15, 19 და მარკ. 7, 21 და სხვ.)

- უწმინდურობა - საქციელი, ქმედება (აუმოქმედება): „და ლხინება-ყოს წმიდათათჳს არაწმიდებათათჳს ძეთა ისრაჱლისათა და სიცრუეთაგან მათთა და ყოველთათჳს ცოდვათა მათთა და ესრეთ უყოს კარავსა მას საწამე-

1 ზენკოვსკი ვ., აპოლეგეტიკა, ქრისტიანული სარწმუნეობა და თანამედროვე ცოდნა, თბ., 2005 წ., გვ. 114-116

2 ებრაულად - חטה - chatta'ah, ან chatta'th (khat-tawth'). იგი წარმოიშვა სიტყვა chata-დან (khaw-taw'), რაც ნიშნავს აცდენას, გადატანითი მნიშვნელობით: ცოდვის ჩადენას, ასევე - ბერძნული სიტყვის - hamartia-გან (თავის მხრივ, წარმოიშვა სიტყვა hamartano-სგან, რომელიც ნიშნავს მიზანში აცდენას) და გადატანითი მნიშვნელობით გაიგება როგორც შეცდომის დაშვება.

ბელისასა შწნებულსა მას შორის შინაგან კარავსა მას საწამებელისასა არაწმიდებისაგან მათის“ (ლევ. 16, 16; შედარ.: ებრ. 9, 2)

- შეცოდება - უმეტეს შემთხვევაში: გულისთქმით, ან „შეცოდებანი ვინმე გულის ჴმა-ყუნეს? საიდუმლოთა ჩემთაგან განმწმიდე მე“ (ფს. 18, 13; შედარ.: ლევ. 4, 2)

მართლმადიდებლური სწავლებით **ცოდვის** სახეებია:

1. **პირველქმნილი** ცოდვა, რომელიც ადამის და ევას მიერ იქნა პირველად ჩადენილი (დაბ. 3, 1-6; შედარ.; სიბრ. 2, 24; ინ. 8, 44; 2 კორ. 11, 3; 1 ტიმ. 2, 14; ზირ. 25, 27 და სხვ.);

2. **ჩვენში მყოფი** ცოდვა, ანუ ის, რომელიც დამკვიდრდა ჩვენში. „აწ უკუე არღარა მე ვიქმ მას, არამედ რომელი-იგი დამკჳდრებულ არს ჩემ თანა ცოდვაჲ... რამეთუ არა რომელი-იგი მნებავს კეთილი, მას ვჰყოფ, არამედ რომელი-იგი არა მნებავს ბოროტი, მას ვიქმ. 20. ხოლო უკუეთუ, რომელი-იგი მე არა მნებავს და მას ვჰყოფ, არღარა მე ვიქმ მას, არამედ რომელი-იგი დამკჳდრებულ არს ჩემ თანა ცოდვაჲ “ (რომ. 7, 17-20), ე.ი. რომელიც გადმოვიდა მემკვიდრეობით პირველქმნილი ადამიანისგან - ადამისგან (შედარ.: ფს. 50, 7; 57, 4 და ა.შ.);

3. **ყოველდღიური** ცოდვა, ანუ „უკუეთუ ვთქუათ, ვითარმედ ზიარებაჲ გუაქუს მის თანა და ჩუენ ბნელსა შინა ვიდოდით, ვტყუით და არა ვიქმთ ჭეშმარიტებასა.... უკუეთუ ვთქუათ, ვითარმედ ცოდვაჲ არა გუაქუს, თავთა თჳსთა ვაცთუნებთ და ჭეშმარიტებაჲ არა არს ჩუენ თანა... უკუეთუ ვთქუათ, ვითარმედ არა ვცოდეთ, მტყუვრად გამოვაჩინებთ მას და სიტყუაჲ მისი არა არს ჩუენ შორის“ (1 ინ. 1, 6-10; შედარ.: ფს. 52, 4), ე.ი. არავინაა ისეთი, ვისაც არ შეუცოდია, ე.ი. დარღვეული არ აქვს ღვთის მცნებები და, შესაბამისად, სჯულის კანონი;

4. **სასიკვდილო** (მიუტევებელი) ცოდვა, რომლის მიხედვით იგმობა **სულიწმიდა**, როგორც **ღმერთი** („... ყოველი ცოდვაჲ და გმობაჲ მიეტეოს კაცთა, ხოლო სულისა წმიდისა გმობაჲ არა მიეტეოს კაცთა. “ (მთ. 12, 31); ასევე, თვითმკვლელები (გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა) და საეკლესიო გარდამოცემებით: **ღმრთისმშობლის მარადის ქალწულობის** გმობა, **სუიციდი**[1] და სხვ.

5. **არასასიკვდილო** ცოდვა, ანუ ის ცოდვა, რომელიც სინანულის შემდეგ შეიძლება მიეტევოს ადამიანს: „უკუეთუ ვინმე იხილოს ძმა თვისი, რომელი ცოდვიდეს ცოდვასა არა სასიკუდინესა, ითხოვოს და მოსცეს მას ცხორება, რომელნი-იგი ცოდვიდენ არა სასიკუდინედ; არს ცოდვა სასიკუდინე, არა მისთვის ვიტყვი, რათა ითხოოს“ (1 ინ. 5, 16; შედარ.: მთ. 12, 31; ებრ. 1, 3; რიცხ. 15, 30; 1 მეფ. 2, 25; იერ. 5, 1 და 7, 16; ლკ. 12, 10 და ა.შ.).

ცოდვით დაცემის შედეგი არის **ფიზიკური სიკვდილი**[2] (გარდაცვალება. შესაბამისად, ცოდვით დაცემის გამო შემცირდა ადამიანთა სიცოცხლის ხანგრძლივობა (შედარ.: დაბ. 6, 3; ფს. 89, 10 და სხვ. შედეგად, განჩნდა დაავადებები, მოიმატა უბედურმა შემთხვევებმა და სტიქიურმა უბედურებებმა და ა.შ.) და **სულიერი სიკვდილი**[3] (ადამი არ მომკვდება მეყსეულად ცოდვით დაცემის გამო, პირიქით მთლიანობაში იცოცხლა 950 წელი, მაგრამ ღვთისგან გაფრთხილების, ანუ მცნების (დაბ. 2, 16) უგულებელყოფის (დარღვევის) გამო მოკვდა სულიერად, ე.ი. დაკარგა უკვდავება და სრულყოფილება. შესაბამისად, ადამიანი დაცილდა ღმერთს, რაც ნიშნავს, რომ იბადება სულიერად მკვდარი, მაგრამ მომამვალი აღდგომის და ღმერთთან საბოლოოდ თანამყოფადობის იმედით (შედარ.: ის. 59, 2; გოდ. 2, 44)).

„ნისლივით წარვხოცავ შენს დანაშაულს და ჯანღივით - შენს ცოდვას; დამიბრუნდი, რადგან მე გამოგისყიდე“ (ეს. 44, 22; შედარ.: 43, 25). სჯულის დაცვას „მართალი კაცი“ მიჰყავს „ღვთის მცნებათა დაცვამდე“, რომელიც საუკუნოდ მიიღო კაცობრიობამ მოსესგან, ქრისტე ღმერთის მიერ განცხადებული ახალი მცნებებისა და კანონების სახით (სჯულის კანონი). ასეთი „მონა ღვთისა“ დღენიადაგ აშინაარსებს საკუთარ ქცევას ამ კანონების მიმართ, რისთვისაც მუდმივად ახსენებს საკუთარ თავს ამის შესახებ და როცა ცოდავს, ცდილობს სინანულით გამოისყიდოს იგი.

„რამეთუ შენ აკურთხო მართალი, უფალო“ (ფს. 5, 13). სულის გადარჩენა დამოკიდებულია ჩვენზე, რამეთუ წერია: „თჳსთა თანა მოვიდა, და თჳსთა იგი არა შეიწყნარეს. ხოლო რაოდენთა - იგი შეიწყნარეს, მოსცა მათ ჴელმწიფებაჲ შვილ ღმრთისა ყოფად, რომელთა ჰრწამს სახელი მისი ...“ (ინ. 1, 11-13). ჩვენზეა დამოკიდებული ასევე თუ რას ავირჩევთ: „... რაჲთა ყოველსა რომელსა ჰრწმენეს იგი, არა წარწყმდეს, არამედ აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ... რომელსა ჰრწმენეს მისი, არა დაისაჯოს; ხოლო რომელსა არა ჰრწმენეს, აწვე დასჯილ არს, რამეთუ არა ჰრწმენა სახელისა მიმართ ძისა ღმრთისა მხოლოდ-შობილისა“ (ინ. 3, 16-18; მარკ. 16, 16). აი სად არის ჭეშმარიტი სწავლება, რამეთუ „ქრისტე, როგორც ღმერთი და ეკლესიის თავი, უცდომელია და უცდომელია ეკლესიაც“![4]

როგორი მდგომარეობა გვაქვს დღეს?

მომქმედი კანონმდებლობა ვერ შეიქმნა გარანტია დანაშაულობის შემცირებისა, რადგან ურთულესი საფრთხეების პირობებში გვიწევს ქვეყნის განვითარებაზე ზრუნვა. გვჭირდება რაღაც „ახალი“, თუმცა „დავიწყებული“ საზოგადოებაში ადამიანებს შორის ურთიერთობების ფორმა, რასაც „ქრისტიანული მოძღვრება“ ჰქვია. მისი ჩარევის აუცილებლობას დიდი ხანია ვხდებით სასულიერო პირთა ქადაგებებში. თანამედროვების ერთერთი უდიდესი წმიდანი იოანე კრონშტანდელი გვმოძღვრავს, რომ „მრავალვნებიან სხეულს თავისი ცოდვილი, უგუნური, დამღუპველი, ეშმაკეული კანონები აქვს, მას სურს და ცდილობს გააკეთოს ყველაფერი, რაც სულის, ღმერთის, სამართლის, გონიერებისა და ჭეშმარიტების საწინააღმდეგოა“.[5] მიუხედავად ამისა, გვაქვს შანსი, რომ ავღდგეთ საკუთარ სხეულში, სულში, დავა-

1 ლათ. sui - თვით და caedere - კვლა
2 ლათ. mors
3 ლათ. animus letum
4 ბუმისი პ., კანონიკური სამართალი, თბ., 2006 წ., გვ. 11
5 წმ. ი. კრონშტანდელი, ქრისტიანული ფილოსოფია, თბ., 2003 წ., გვ. 39

მარცხოთ კონკრეტული ცოდვისადმი, ბოროტებისაკენ მიდრეკილება და ამით გადავარჩენოთ გარემყოფნიც.

რეგისტრირებულ დანაშაულთა ხარისხს, დიდი გავლენა აქვს ქვეყნის არა მხოლოდ სოციალურ და პოლიტიკურ, არამედ ეკონომიკურ მდგომარეობის განვითარებაზე. ამასთან, იგი პერიოდულად გვევლინება როგორც ერთიანი სამეურნეო სისტემის „შემადგენელი ნაწილი“ და, შესაბამისად, მისი გავლენაც იგრძნობა ეკონომიკის ყველა სექტორში. კრიმინოგენური სიტუაციის გაურესება ასევე აისახება „ჩრდილოვანი ეკონომიკის“ (blak economy) გაძლიერებაში, რამაც დამანგრეველი ზიანი უკვე მიაყენა ქვეყნის განვითარებას. მოსალოდნელი იყო მისი ნეგატიური გავლენა შემდგომშიც და ვიგრძენით კიდეც იგი მეურნეობრივ სისტემაზე, სინვესტიციო გარემოზე და ა.შ., რამეთუ მუდმივად იზრდება მისი ძირითადი გამომწვევი ფაქტორი - ე.წ. „დანაშაულებრივი რისკი“ - თავის სტრუქტურის მუდმივი ცვლილებით, განვითარების ინტენსივობით, „ხერხების“ დახვეწით, „ელიტაში“ შესვლით და ა.შ.

დიდი ხანია იმედი გვაქვს საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების, ასევე დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის..., თუმცა რამდენადაც საბაზრო ეკონომიკა სოციალურ წინააღმდეგობათა მკვეთრი გამოხატულებაა, იმდენად აღმოჩნდა კრიმინოგენური. სინამდვილემ ცხადყო, რომ მისი განვითარება არ შეიძლება განვიხილოთ სოციალურ-პოლიტიკურ პირობებიდან იზოლირებულად და მხოლოდ ინდივიდუალური და პოლიტიკური თავისუფლების, დამოუკიდებელი აზროვნებისა, ურთიერთობათა დემოკრატიულობისა და პლურალიზმის პირობებში, თუ არ გავითვალისწინებთ, რაც მთავარია, ქრისტიანული თანაცხოვრობის წესს.

არ გვსურს შევეგუოთ აზრს, მაგრამ ფაქტია, რომ „თავისუფლება უფრო კრიმინოგენურია...“ ჩვენი ქვეყნის მაგალითზე, დანაშაულობის ზრდის მნიშვნელოვან ფაქტორებად შეიძლება დასახელდეს ცხოვრების დაბალი დონე (აქ უნდა ითქვას ისიც, რომ მეცნიერები თანხმდებიან იმ აზრზე, რომ სიღარიბე არ ახდენს გადამწყვეტ როლს დანაშაულობაზე, რამეთუ ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში ასე თუ ისე უმკლავდებიან სიღარიბეს, თუმცა არა თუ მცირდება დანაშაულობა, არამედ იზრდება კიდეც.[1]), ორგანიზებული დანაშულის და „ქურდული სამყაროს“ აღზევება, ტოტალური და „ელიტარული“ კორუფცია, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის „გაწელილი“ პროცესი, 70 წლიანი „ტოტალური კონტროლის“ ნგრევის პროცესი, უმნიშვნელოდ - ურთიერთობათა ახალი სოციალური და დემოკრატიული ფორმების შექმნის მცდელობა და სხვ.

როგორია დანაშაულის ჩადენის „ეკონომიკური მოტივაცია“ და რა „ეკონომიკური სურვილები“ უბიძგებს ადამიანს დანაშაულისაკენ?

ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურიატის ჰ. ბეკერის (Gary Stanley Becker) აზრით: „დამნაშავე, ნებისმიერი ადამიანის მსგავსად, რაციონალურად ეწევა საკუთარი ინტერესების მაქსიმალურად დაკმაყოფილებას, რადგან იგი შეზღუდული არის შემოსავლებითა და იმ საქონლის შეძენით, რომელთა ფასების ცვლილებას აწყდება ბაზარზე... ისიც ჩვეულებრივ განიხილავს დანახარჯებისა და მოგების ალტერნატიულ ვარიანტებს და იღებს მისთვის მისაღებ და „სასარგებლო“ გადაწყვეტილებას“. მისი აზრით: დამნაშავეთა დანახარჯებსა და მოგებაზე მომქმედი ძირითადი ფაქტორია დროის ალტერნატიული ხარჯები (ალტერნატიული ღირებულება), რადგან უკანონო საქმიანობის დრო მცირეა, ხოლო მომზადება-განხორციელებისათვის საჭიროა უფრო მეტი, რასაც თან ერთვის მოსალოდნელი დაკავება, გასამართლება და პატიმრობა და ა.შ. და მეორე - დანაშაულებრივი საქმიანობიდან მოსალოდნელი სარგებელი.[2]

ხანგრძლივმა დაკვირვებებმა და მრავალჯერადმა გამოკვლევამ აჩვენა, **რომ რაც უფრო მაღალია დაკავებისა და გასამართლების ალბათობა, მით უფრო მცირდება დანაშაულის ჩადენის სიხშირე, თუმცა გასათვალისწინებელია კანონის გამკაცრებაც, მასზე სასჯელის ვადის ზრდის ჩათვლით.** ამდენად, დანაშაულობაზე უარყოფითად მოქმედებს (უკუპროპორციულ კავშირშია) ალტერნატიული ხარჯები, დაკავებისა და დასჯის ალბათობა და მისი სიმკაცრე, ხოლო დადებითად (პირდაპირპროპორციულად) - დანაშაულებრივი საქმიანობიდან სარგებელი[3].

აღიარებული მკვლევარი **რ. ანდერსონი** (Robert Bernard Anderson) თვლის, რომ აუცილებლად უნდა გაირკვეს სამართალდარღვევებიდან ყველა მხარის შემოსავლებისა და დანაკარგების კლასიფიკაცია. მი სი აზრით: **„დამნაშავეები იგებენ არალეგალური და ლეგარული შემოსავლებსა და მისჯილი, ან გამომსასწორებელი პერიოდის (დანაშაულის ჩადენისათვის სასჯელის სიმძიმე და გასამართლების ალბათობა) ხარჯებს შორის სხვაობით; დაზარალებულები კარგავენ ქონებას მთლიანად, ან ნაწილობრივ ზიანის მიყენებით (თაღლითობის, ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის... შედეგად), ასეთ შემთხვევებში მათი ეს პირდაპირი დანაკარგები, სავარაუდოდ, უახლოვდება დამნაშავეთა შემოსავლებს. ირიბად კი „დაზარალებულთა დანაკარგები“ მიმართულია დაცვის ღონისძიებათა მიმართულების ე.წ. ალტერნატიული დანახარჯებისკენ. ამასთან, საზოგადოება წევს მნიშვნელოვან დანახარჯებს დანაშაულის აღკვეთის, დამნაშავეთა დაკავების, გასამართლების, დასჯისა და გამოსწორების მიზნით[4]...**

ცნობილი ამერიკელი მეცნიერი **ლ. თუროუ** (Lester Carl Thurow) სამართალდარღვევებთან დაკავშირებულ

1 www.ecsocman.edu.ru /Федеральный образовательный портал РФ - ЭКОНОМИКА, СОЦИОЛОГИЯ, МЕНЕДЖМЕНТ/

2 www.corruption.rsuh.ru /Центр по изучению нелегальной экономической деятельности/

3 ვრცლად იხილეთ: www.narcom.ru /Русский Народный Сервер Против Наркотиков/

4 www.corruption.rsuh.ru /Центр по изучению нелегальной экономической деятельности/

ეკონომიკურ დანახარჯებსა და სარგებელს შორის ურთიერთობის ანალიზისას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მართლწესრიგზე სახელმწიფო ხარჯების ეფექტიანობის შესწავლას. მისი აზრით ეს „ეფექტიანობა განისაზღვრება მართლწესრიგზე საბიუჯეტო ხარჯების შემცირებით“.[1] ვინაიდან სამართალდამცავი ორგანოების ძირითადი ფუნქცია ქვეყანაში დანაშაულის აღკვეთაა, ამიტომ მნიშვნელოვანი დანახარჯები სწორედ აქეთ უნდა იყოს მიმართული. სიმართლეა ისიც, რომ საქართველოს ქალაქებში ყველა ნაწილი, ან სოფელი ერთნაირად არაა დაცული ამ მხრივ და, სამწუხაროდ, დანაშაულთა შეჩერების პრევენციული სამუშაობების სიმცირეც სხვადასხვა ადგილზე ჯერ კიდევ თვალში საცემია. შესაბამისად, ირღვევა მართლწესრიგის დამყარების „თანაბრობა“ და სახეზეა მსხვილი საქალაქო დასახლებების უფრო დაცვა და/ან ასეთ დასახლებებში პრესტიჟული რაიონების..., რაც სასწრაფოდ გამოსასწორებელია.

შედეგად, მოქალაქეთა მცირე ნაწილის მიერ სამართალდარღვევებიდან ზარალის მიყენების ალბათობა უფრო მცირეა, ვიდრე შედარებით „დაუცველი “ მოსახლეობის და ეს საშიში ტენდენციაა. შესაბამისად, ასეთი რისკის არსებობა არის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი ასეთ ადგილებში ეკონომიკური საქმიანობის ნაკლები ინტენსივობისა, რაც პირდაპირ უარყოფითად აისახება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე, შესაბამისად, მოსახლეობის შემოსავლებზე და ა.შ.

ათი წელია, რაც საქართველოში დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის კონტროლის სოციალურ-სამართლებრივი ზემოქმედება გააქტიურდა. არის მიღწევები, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ბევრი რამ ჯერ კიდევ დასახვეწია, მათ შორის: საკანმომდებლო ბაზა, სამართალდამცავ სტრუქტურებში კვალიფიციური კადრების შერჩევა, მათი შრომის ანაზღაურება, ცალკეული ერთეულების ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფა[2] და, რაც მთავარია, რეალურად უნდა გამოჩნდეს მთავრობის პოლიტიკური ნება: „ებრძოლო“ უპირველესად დანაშაულს და არა დამნაშავეს.[3] ამ და სხვა მიზეზდა გამო, რომლებიც ზემოქედებენ დანაშაულობის ცვლილებაზე, რათქმა უნდა რთულია მისი ეკონომიკური შედეგების ანალიზი მთლიანობაში, რადგან გასათვალისწინებელია ის სინამდვილეც, რომ ადამიანები იღებენ გადაწყვეტილებას ჩაიდინონ ისეთი დანაშაული, რომლის მოსალოდნელი სარგებელი და დანახარჯები მისაღები იქნება მათთვის და, ასევე, დანაშაულებრივი ქმედება დამოკიდებულია საზოგადოების ეთიკურ, ფსიქოლოგიურ, სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარებაზე, პოლიტიკურ სტაბილურობაზე და სხვ.

დანაშაულის ჩადენიდან სარგებელი შეიძლება ვუწოდოთ იმ ფულად შემოსავალს, რომელსაც მიითვისებენ დამნაშავენი ე.წ. აკრძალული წესით, ან დანაშაულებრივი მიზნით დახარჯული ღირებულების ზომა (არ ვითვალისწინებთ ისეთ შემთხვევას, როცა დამნაშავე თავისი ქმედებიდან არ ელის ეკონომიკურ სარგებელს, არამედ იღებს ე.წ. „ფსიქოლოგიურ“ კმაყოფილებას, მათ შორის, შურისძიების ან სხვა მოტივით). შედარებით რთულია დანაშაულებრივ საქმიანობაში დანახარჯების შეფასება, მით უმეტეს, თუ პიროვნება (ჯგუფი) ირჩევს დამნაშავის კარიერას (დამნაშავებრივი სამყაროს წევრობა). ასეთ შემთხვევაში, ნაწილობრივ ან მთლიანად ამბობენ უარს ლეგალურ შრომასა და შემოსავალზე, შესაბამისად, იცვლება „რისკიანი“ პირების დროითი დანახარჯების ალტერნატიული ღირებულებაც. ამასთან, გასათვალისწინებელია მოსალოდნელი დაკავება და დაპატიმრება.

ისიც ცხადია, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედებიდან რაც უფრო მეტია შემოსავლის ალბათობა (მით უმეტეს, დაუსჯელობის შესაძლებლობის არსებობის პირობებში), მით მეტია დანაშაულის სიხშირე. ამდენად, სარგებლისა და ხარჯების ცვლილება წარმოადგენს იმ მიზეზს თუ რატომ აქვთ ზოგიერთ ინდივიდს, ან სოციალურ ჯგუფს დანაშაულის ჩადენისაკენ მიდრეკილება. მოგებული დარჩება ჩვენი საზოგადოება, თუ მაქსიმალურად შეამცირებს და შეზღუდავს დანაშაულის გავრცელების ხარისხს და, შესაბამისად, მეტ სარგებელსაც ნახავს თუ მას მიაღწევს „მინიმალური“ დანახარჯებით. ამდენად, მიზანი უნდა გახდეს დანაშაულის არა მხოლოდ აღკვეთა, არამედ მისი თავიდან აცილებაც, რამდენადაც შესაძლებელი იქნება იგი. საჭირო ხდება უფრო მეტი „საზოგადოებრივი მსახურება“ ე.წ. „დამნაშავეთათვის“, რომ მოხერხდეს მათი ამ „წრიდან“ გამოყვანა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვა. რაც მთავარია, უნდა დავარწმუნოთ ისინი, რომ ასეთი გზით მიღებული შემოსავლები აარაა სათნო ღვთისათვის და არ „შეერგებათ“ და რომ „შჯობს მცირედი მართლისა,

1 Васильев В., Экономитсь "с человеческим лицом" (взгляды и концефции проф. Л. Туроу). США: ЭПИ, 1991, №10, с. 4; Нуреев Р., Институционализм: прошлое, настоящее, будущее, "Вопросы экономики", 1999 г., №1, ст., 128.

2 2014 წ. სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის პროგრამის საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები მოიცავს: დანაშაულის შესახებ მომზადებული ანალიტიკური კვლევების ოდენობას და მათი პრაქტიკაში გამოყენებადობას, რაც გულისხმობს მათ საფუძველზე მომზადებული დასკვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებას; დანაშაულის დონის განსაზღვრის მიზნით, ჩატარებული კვლევების რაოდენობას და გამოყენების ეფექტიანობის დონეს სისხლის სამართლის პოლიტიკის განსაზღვრის პროცესში; პროკურორებისათვის მომზადებული რეკომენდაციების რაოდენობას; დანაშაულის პრევენციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დადებითი შეფასებას; პროკურატურის სისტემაში ჩატარებული ტრენინგების რაოდენობას.

3 მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ამ პროცესებში ჩართვის ნება დაერთო საქართველოს საპატრიარქოსაც. ეს კი დიდი იმედია.

ვიდრეღა არა მრავალსა მას სიმდიდრესა ცოდვილთასა“ (ფს. 36, 16).

საერთო ჯამში, მართლწესრიგის განმტკიცებაზე გაწეული დანახარჯების მოცულობა ზოგადად შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი ტოლობით: **ერთობრივი დანახარჯები = პრევენციის მიზნით რეალიზებული რესურსები + სამართალდარღვევათა პრევენციის მიზნით გამოყენებული ყველა რესურსების ღირებულება.** წარმოდგენილ ტოლობაში შედეგის შემცირება შეიძლება მიიღწეს, პირველ ეტაპზე, მხოლოდ ყველა სამართალდარღვევიდან მიღებული დანაკარგების შემცირებით და, შემდეგში, სამართალდარღვევათა პრევენციის მიზნით გამოყენებული ყველა რესურსების ღირებულების.[1]

ამდენად, რთული ამოცანა სახეზეა, რომლის მიზანია ერთობლივი ხარჯების ოპტიმალური მნიშვნელობის („მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური სოციალური და ეკონომიკური ეფექტის მიღწევა“) დადგენა. მისი ზუსტი გაანგარიშება თითქმის შეუძლებელია, მაგრამ ამაზე ზრუნვა არ უნდა შეწყდეს. აქ შეიძლება გამოვიყენოთ სადაზღვევო ურთიერთობებში ცნობილი ე.წ. სატარიფო განაკვეთის გაანგარიშების ტექნოლოგია, რომელიც განკუთვნილია იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რომელიც სადაზღვევო შემთხვევით მიეყენა დაზღვეულ ქონებას, ან სადაზღვევო კომპანიის სხვა ხასიათის ხარჯების გასაწევად. მას უწოდებენ ასევე, როგორც ბრუტო-განაკვეთს, რომლის ფორმირება ხდება ორი კომპონენტით: ნეტო-განაკვეთით[2] და რისკის გავლენის პრევენციაზე დანამატი.[3]

სამართალდარღვევების გამოვლენაზე, პრევენციაზე და „სასჯელის აღსრულებაზე“ ხარჯების დასადგენად უმჯობესია გამოყენებულ იქნას აღნიშნული მეთოდიკა. მაგალითად, „ნეტო-განაკვეთით“ შეიძლება განისაზღვროს გამოვლენილი სამართალდარღვევების საგამომძიებო საქმიანობიდან - სასჯელის აღსრულებამდე გასაწევი ხარჯების, ხოლო „პრევენციაზე დანამატით“ - პრევენციულ ღონისძიებებზე დანახარჯების ზომა (შესაძლებელი იქნება, ასევე, ამ ორ დანახარჯს შორის კოორდინაციის, თანაფარდობის გაზომვა) და „ბრუტო-განაკვეთის“, როგორც ამ ღონისძიებათა სისტემაზე გასაწევი საერთო დანახარჯების ოპტიმალური ზომის დადგენა.

სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმური ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციით, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ხარჯები 2013 წლის გეგმური 35116,2 ათ. ლარიდან უმცირდება 2014 წლის პროექტით გათვალისწინებულ 267930 ათ. ლარამდე, ანუ 23,7%-თ, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროს - 189538 ათ. ლარიდან 150000 ათ. ლარამდე, ანუ 20,9%-თ,[4] რისი გამოსწორება აუცილებლად უნდა მოხდეს 2014 წლის კორექტირებული ბიუჯეტით. სხვა შემთხვევაში, მან შეიძლება ცუდად იმოქმედოს დანაშაულობის ცვლილებაზე, რადგან სახეზეა დანაულის ჩადენის ხერხების დახვეწა და მისი მოქმედების არიალის გაფართოება.

საქართველოს მთავრობამ განსაზღვრა 2014 წ. სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის“ პროგრამის საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები: დანაშაულის შესახებ მომზადებული ანალიტიკური კვლევების ოდენობა და მათი პრაქტიკაში გამოყენებადობა, რაც გულისხმობს მათ საფუძველზე მომზადებული დასკვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებას; დანაშაულის დონის განსაზღვრის მიზნით, ჩატარებული კვლევების რაოდენობა და გამოყენების ეფექტიანობის დონე სისხლის სამართლის პოლიტიკის განსაზღვრის პროცესში; პროკურორებისათვის მომზადებული რეკომენდაციების რაოდენობა; დანაშაულის პრევენციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შეფასება და პროკურატურის სისტემაში ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა.[5] მაგრამ კარგი იქნებოდა თუ დაემატებოდა, თვეების ან კვარტლების მიხედვით, გამოვლენილ დანაშაულთა სტრუქტურული და დინამიკური ანალიზის შედეგები და სხვ.

გამოკვლევებმა ცხადყო, რომ დანაშაულობა უკუპროპორციულ კავშირშია დანაშაულის გახსნის ინტენსივობასთან (ხარისხთან) და სასჯელის სიმკაცრესთან, ხოლო პირდაპირპროპორციულ კავშირშია სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებთან (შემოსავლების დიფერენციაცია, უმუშევრობა და სხვ). ისტორიულად, საზოგადოებაში არსებობდა დანაშაულობაზე ზემოქმედების რამდენიმე „ინსტიტუტი“, მათგან კი დღეს ცნობილია: „კრიმინალური იუსტიციის“ რესურსი, დასჯის სიმძიმე და მასზე კონტროლის სოციალური პროგრამები.[6] განსაკუთრებულ მიდგომას იმსახურებს

1 სამწუხაროდ, შესაბამისი სამინისტროების - შინაგან საქმეთა სამინისტროს და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროების ოფიციალურ ინფორმაციებში დანაშაულთა პრევენციაზე და/ან მართლწესრიგის განმტკიცებაზე ხარჯების დინამიკის ამსახველი ზუსტი ინფორმაცია მიუწვდომელია.

2 განკუთვნილია სადაზღვევო ფონდის შესაქმნელად, რომელიც პირდაპირ ემსახურება რისკით მიყენებული ზარალის კომპენსაციას, რომელზეც პრაქტიკულად ბრუტო-განაკვეთის 90-91% ნაწილის „სიმძიმე“ მოდის.


3 ემსახურება სადაზღვევო კომპანიას იმ სარეზერვო ფონდის შექმნაში, რომელიც განკუთვნილია სადაზღვევო შემთხვევის დადგომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის საჭირო პრევენციული ზომების ან/და მოსალოდნელი საფრთხის შედეგების შესამცირებლად ჩატარებული ე.წ. რეპრესიული ღონისძიებების დაფინანსებისთვის, რომელიც დგება %-ში ბრუტო-განაკვეთთან და მასზე მოდის ბრუტო-განაკვეთის 9-10 % საშუალოდ. ცნობისათვის, ბრუტო-განაკვეთს (U) და ნეტო-განაკვეთს (U^1) და რისკის გავლენის პრევენციაზე დანამატს (f) შორის არსებობს თანათარდობა: $U = U^1 + U \cdot f$, საიდანაც ბრუტო-განაკვეთს ანგარიშობენ ფორმულით: $U = \frac{U^1}{1-f}$.

4 წყარო: http://www.mof.ge/common/get_doc.aspx?doc_id=9676

5 წყარო: http://www.mof.ge/5233

6 www.corruption.rsuh.ru /Центр по изучению нелегальной экономической деятельности/

დანაშაულობის დინამიკა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში 2003-2012 წწ.[1]
(ერთეული/1000 კაცზე. საქართველო - GE, სომხეთი - AR, აზერბაიჯანი - AZ)



1 www.geostat.ge და police.ge, www.armstat.ar /Armenian Statistical Service of Republic of Armenia/, www.azstat.org /The State Statistical Committee of the Republic of Azerbaijan/

დანაშაულთა განმეორებადობა (დანაშაულის რეციდივი), არასრულწლოვანთა დანაშაული და ეკონომიკური შედეგები, რასაც სიღრმისეული შესწავლა სჭირდება და იმედია, რომ სწრაფად განხორციელდება ამ მიმართულების გამოკვლევები. ამასთან, დიდ პრობლემად რჩება საქართველოში დანაშაულთა აღურიცხვიანობაც (მაგალითისათვის, ა.შ.შ.-ში ფაქტიური დანაშაულობა 3-4-ჯერ აღმეტება ოფიციალურად რეგისტრირებულ დანაშაულობათა რიცხვს)[1] და ა.შ. (იხ. გრაფიკი).

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ბოლო წლების დანაშაულობის დინამიკიდან ჩანს, რომ 2003 წელს კრიმინოგენული სიტუაცია აზერბაიჯანში საუკეთესო იყო, ხოლო საქართველოში ყველაზე მწვავე, რომელიც შენარჩუნებულია კიდეც საანალიზო პერიოდში, რისი მიზეზიც მრავალია[2]. საერთო ჯამში, 2003-2012 წწ. სომხეთში დანაშაულობის საშუალო დონე იზრდება 50,1%-თ, აზერბაიჯანში - 27%-თ, ხოლო საქართველოში - 115,75%-თ, ანუ სომხეთთან შედარებით საქართველოში იგი 2,31-ჯერ მეტია, აზერბაიჯანთან შედარებით კი - 4,28-ჯერ. ნაშრომის მიზანი არაა სამართლებრივი ანალიზი, ან დასახელება იმ ფაქტორებიც, რომლებიც „ქართული“ შინაარსისაა, მაგრამ ერთი ცხადია, რომ აქ გამოსაყოფია მიგრაციის მომენტიც. ოფიალური სტატისტიკით, 2012 წელს ჩამოსულთა საშუალო ასაკი მერყეობდა 35-40 წლამდე, არადა ეს ასაკობრივი ჯგუფი ჩვეულებრივ ითვლება მაღალ რისკიან ჯგუფად კრიმინოლოგიაში, რასაც სტატისტიკური მონაცემები ადასტურებს[3] და ესეც დამატებითი საზრუნავი უნდა გახდეს შესაბამისი უწყებებისთვის, რამეთუ, ჩვენი გეოგრაფიული, სატრანზიტო ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, ეს პრობლემა უფრო საშიში გახდება.

გრაფიკით წარმოდგენილი მონაცემები მიუთითებენ იმაზეც, რომ საქართველოში კრიმინოლოგიული სიტუაცია შედარებით მძიმეა, ვიდრე აზერბაიჯანში და სომხეთში, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ჩვენს ქვეყანაში 2004 წლიდან ძალისმიერ სტრუქტურებში ჩატარებულმა რეფორმამ (თუ არ გავითვალისწინებთ ზოგიერთ უარყოფით თანამდე მოვლენას) აშკარად მოაწესრიგა დანაშაულის გამოვლენის აღრიცხვიანობა, რეგისტრაცია, რასაც ვერ ვიტყვით მეზობელ ქვეყნებზე, სადაც, სავარაუდოდ, კვლავ ხშირია დანაშაულის დამალვა, გარიგებები დამნაშავეებსა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის და საგამომძიებლო სამსახურებს შორის და ა.შ.

რაც შეეხება დანაშაულობათა საშუალო წლიური მატებისა და ზრდის ტემპებს, აქაც ჩვენი ქვეყნისთვის სურათი უარესია. კერძოდ, 2004-2012 წწ. მან საქართველოში (GE) შეადგინა 5,1%, აზერბაიჯანში (AZ) - მხოლოდ 1,8%, ხოლო სომხეთში (AR) – 6,5%. დანაშაულთან ბრძოლის წინააღმდეგ სახელმწიფოებრივის მიდგომის შედეგად იქნა დაძლეული გრა-

1 www.ecsocman.edu.ru /Федеральный образовательный портал РФ - ЭКОНОМИКА, СОЦИОЛОГИЯ, МЕНЕДЖМЕНТ/

2 მათ შორის, 2005 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებები; ასევე, მოსაწესრიგებელია დანაშაულთა რეგისტრაციის მომენტის აღრიცხვა, კერძოდ კონკრეტულ წელს რეგისტრირებულ დანაშაულთა რიცხვში ხდება ადრე ჩადენილი დანაშაულებები, რომელთა გახსნა მოცემულ წელს მოხდა, რაც მნიშვნელოვნად ზემოქმედებს რეალური სურათის ცვლილებაზე და სხვ.

3 http://geostat.ge/?action=page&p_id=601&lang=geo

ფიკით გამოსახული 2003-2006 წწ. აღმასვლა საქართველოსთვის, თუმცა ბოლო წლების დინამიკა მაინც საგანგაშოა. როგორც ჩანს, ტენდენცია საერთოა სამივე სახელმწიფოსთვის, მაგრამ ჩვენ ჩვენი უფრო გვტკივა და ცხადია, რომ მის დაძლევაზე განსაკუთრებით მისამართია სამთავრობო ინტერესი. მაინც, რა იწვევს საქართველოში, სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნებთან შედარებით, დაშაულობის ბევრად უარეს დინამიკას. ამ კითხვაზე პასუხი უნდა იყოს კომპლექსური. პრობლემაზე მომქმედი მიზეზების ძიება და მათი შესაძლო გავლენის დადგენა მართალია იგრძნობა პროფესიონალ და მეცნიერ-იურისტთა გამოკვლევებში, მაგრამ ჩანს იმის აუცილებლობაც, რომ კვლევებში უნდა ჩაერთოს ეკონომისტ-სტატისტიკოსებიც, თავიანთი მდიდარი ანალიტიკური გამოცდილებით.

ცნობილი ფრაზა: **„იცოდე კანონი და იქნები დაცული“** - არ გამოდგება საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის. უკეთესია: **„დაიცავი კანონი და იქნები დაცული“,** რამეთუ თუ მაქსიმალურად მოერიდება ადამიანები დანაშაულის (ცოდვის, უშჯულოების) ჩადენას, მით უფრო იქნებიან დაცული მათ მიმართ დანაშაულის (ბოროტების) ჩადენისგან, რისი საფუძველიც, როგორც ავღნიშნეთ, ქრისტიანული თანაცხოვრების წესია. შესაბამისად, ქვეყანაში მართლწესრიგის პრევენციასა და განმტკიცებაზე ხარჯების გაზრდა, დადებითად აისახება მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის ცვლილებაზე და საზოგადოებაც ძლიერ „მოგებული“ დარჩება.

„მოიქეცით თავით თჳსით და განიშორენით თქუენგან ყოველნი უსჯულოებანი თქუენნი, რომლითა უსჯულო იქმნენით ჩემდამო, და ყავთ თავისა თქუენისა გული ახალი და სული ახალი, და რაჲსათჳს მოსწყდებით“ (იეზ. 18, 31) და თუ ყველა ჩვენგანი ჩათვლის, რომ „კეთილ არს ჩემდა შჯული პირისა შენისა უფროს ათასეულისა ოქროსა და ვეცხლისა“ (ფს. 118, 72), მაშინ მივიღებთ სასურველ შედეგსაც - ურთიერთსიყვარულს, დანდობას, პატივისცემას... და, რაც მთავარია, ღვთისგან წყალობას, რომლის გარანტი უფლის მცნებათა დაცვაა, რამეთუ „ყოველნი მცნებანი შენნი ჭეშმარიტებით არიან“ (ფს. 118, 84).

იმედია, რომ მომავალში საზოგადოება და თითოეული მოქალაქე აიღებს პასუხისმგებლობას ამ უაღრესად მტკივნეული პრობლემის სწრაფად მოსაგვარებლად. დავიწყებთ „მართალი წესით“ ცხოვრებას. დავივიწყებთ ანგარებას, ქურდობას, ყაჩაღობას... და, რაც მთავარია, კაცთა კვლას და მივიღებთ ყოველივეს რაც გვჭირდება, განსაკუთრებით - სულიერ და მატერიალურ კეთილდღეობას. დანაშაულის ჩადენის მიზანი ხომ „კეთილდღეობის ამაღლებაა“. შეიძლება ჩაიდინო დანაშაული და გაექცე კანონს და მის მსჯავრს, მაგრამ ღვთის რისხვას და სასჯელს კი ვერასოდეს! მივენდოთ უფალს, დავკმაყოფილდეთ იმით რასაც მოვიპოვებთ უცთომელი გზით და მუდმივად გვახსოვდეს, რომ „ყრმა ვიყავ და დავბერდიცა და არა ვიხილე მართალი დაგდებულ, არცა თესლი მისი მთხოვნელ პურისა“ (ფს. 36, 35) და შედეგიც არ დააყოვნებს, რამეთუ „ესევდ უფალსა და ყავ სიტკბოება, დაემკვიდრე ქუეყანასა და დაემწყსო სიმდიდრესა ზედა მისსა. იშუებდ უფლისა მიმართ და მან მოგცეს შენ თხოვა გულისა შენისა“ (ფს. 36, 3-4), ამინ! რადგან „პატივსა მეუფისასა სამართალი უყუარს“ (ფს. 98, 4).

„ვისაც არ ძალუძს განარჩიოს, ერთის მხრივ, რა არის კეთილი, მეორე მხრივ კი - როგორია ბოროტი, ამგვარ ვინმეს უფლება არა აქვს განსაჯოს კეთილნი და ბოროტნი, რადგან ადამიანი, რომელმაც იცის ღმერთი, კეთილია“ (წმ. ანტონი დიდი).

FOR DECREASING ECONOMIC RESULTS OF CRIMINALITY

Akaki bakuradze
Akaki Tsereteki State University, associated professor

ABSTRACT

Crime should not be understood only as a delinquency against an individual, society, state and so on.... but also as an activity (inactivity) one directs against himself/herself doing harm to himself/herself through committing an offence like 'a fall due to committing a sin' (except rare and special cases). So, concrete delinquency is not only a crime, but also a sin! Therefore, any activity (inactivity) of such type is considered to be the infringement of god's commandments.

It is very difficult to analyze economic results of criminality because people make decisions to commit such type of offences the expected expenses and profits of which will be acceptable. Totally, the capacity of expenses spent on strengthening regularity can be introduced by the following equation: total expenses = costs of implemented resources for preventive actions + losses from all types of delinquencies. Decrease of the results from the presented equation can be achieved only by lessening the losses from all types of delinquencies at first and afterwards by decreasing the costs of implemented resources for preventive actions.

Well-known phrase: "Know the law and be protected" - will not do for social security. It is better to say: "Follow the law and be protected" - the more people try to avoid committing the crime, the more number will be protected from being offended. The basis of the latter can be found in the Christian way of life.